ირაკლი ფაღავას N6
0144 თბილისი, საქართველო
ცხელი ხაზი:**1481(24/7)**
www.ombudsman.ge
ელ-ფოსტა: **info@ombudsman.ge**

საქართველოს
სახალხო დამცველი
PUBLIC DEFENDER (OMBUDSMAN)
OF GEORGIA

28 დეკ 2024 წ.

KA000035283871324

№ **2024/7767**

საქართველოს იუსტიციის მინისტრს

ბატონ ანრი ოხანაშვილს

წ ი ნ ა დ ა დ ე ბ ა

სპეციალური პენიტენციური დაწესებულებების ტერიტორიაზე სამეურნეო სამუშაოებზე დასაქმებული მსჯავრდებულების/ბრალდებულების შრომითი უფლებების დაცვის მიზნით გასატარებელი ღონისძიებების შესახებ

შემუშავებულია საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის მიერ განხორციელებული შემოწმების შედეგების მიხედვით და გეგზავნებათ „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 21–ე მუხლის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად.

ბატონო ანრი,

საქართველოს სახალხო დამცველის აპარატმა შეისწავლა [illegible] 2024 წლის 16 სექტემბრის N5518/2024 განცხადება სადაც ყოფილი მსჯავრდებული მიუთითებდა, რომ 2017-2024 წლებში N2 პენიტენციურ დაწესებულების სამეურნეო სამუშაოებზე დასაქმების პერიოდში ადგილი ჰქონდა მისი შრომითი უფლებების შეზღუდვას. განმცხადებელი აღნიშნავდა, რომ სამეურნეო სამუშაოების შესრულებისას მას არ ჰქონდა დასვენების დღეების გამოყენების უფლება, ვერ სარგებლობდა კანონმდებლობით გათვალისწინებული უქმე დღეებით, ხოლო ზეგანაკვეთურად შესრულებული სამუშაო არ უნაზღაურდებოდა.

მნიშვნელოვანი ფაქტობრივი გარემოებები:

განსახილველ საქმეზე სპეციალური პენიტენციური სამსახურის N2 პენიტენციურმა დაწესებულებამ 2024 წლის 20 ნოემბრის N349024/20 წერილით საქართველოს სახალხო დამცველის აპარატს აცნობა, რომ N2 პენიტენციურ დაწესებულებაში სასჯელის მოხდის პერიოდში სამეურნეო სამუშაოებზე დასაქმებული [illegible] სამუშაო დროის ხანგრძლივობა არ აღემატებოდა საქართველოს შრომის კოდექსის 24-ე მუხლის [illegible] ძე-2 კუხქტით დადგენილ, ნორმირებულ ხანგრძლივობას - კვირაში 40 საათს და საქართველოს სახალხო დამცველის აპარატს წარმოუდგინა სამუშაო საათების ამსახველი დოკუმენტაცია. თუმცა აპარატის მიერ სპეციალური პენიტენციური სამსახურის N2 პენიტენციური დაწესებულებიდან მიღებული დოკუმენტების შესწავლით, შეუძლებელი აღმოჩნდა სამუშაო დღეების განმავლობაში სამეურნეო სამუშაოებზე დასაქმებული ბრალდებულების/მსჯავრდებულების (მათ შორის [illegible]) სამუშაო საათების ხანგრძლივობის გარკვევა, სამუშაო დღეების ამსახველ დოკუმენტაციაში არ ჩახდა და ასევე შეუძლებელი გახდა იმის გარკვევა, დასვენების და უქმე დღეებში ბაქარ კოხოძე ან სხვა დასაქმებული პირები ასრულებდნენ თუ არა სამეურნეო სამუშაოებს.

განმცხადებელმა საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის წარმომადგენელს დამატებით მიაწოდა ინფორმაცია, რომ სამეურნეო სამსახურში დასაქმებული პირები მასთან ერთად დასვენების და უქმე დღეებშიც პატიმრებს დღეში სამჯერ აწვდიდნენ საკვებ ულუფას, მაღაზიიდან პროდუქტებს, ამანათებს და ასრულებდნენ სხვა აუცილებელ სამუშაოს ყოველგვარი დამატებითი ანაზღაურების გარეშე. შესაბამისად,

საქართველოს სახალხო დამცველის აპარატმა სპეციალური პენიტენციური სამსახურის N2 დაწესებულებიდან გამოითხოვა 2017 წლიდან 2024 წლის [illegible] ჩათვლით N2 პენიტენციურ დაწესებულებაში დასვენების და უქმე დღეებში იმ სამუშაოებზე დასაქმებულ პირთა შესახებ არსებული მონაცემები, რომლებიც იმავე სამუშაოს ეწეოდნენ რასაც [illegible] ან/და სხვა დასაქმებულები სამუშაო დღეებში. ასევე, საქართველოს სახალხო დამცველის აპარატმა პენიტენციურ დაწესებულებას სთხოვა განემარტა, რატომ არ იყო აღნიშნული ინფორმაცია ასახული 2017 წლიდან 2024 წლის [illegible] პერიოდში N2 პენიტენციური დაწესებულებაში მსჯავრდებულთა მიერ სამეურნეო სამუშაოების შესრულებისთვის ნამუშევარი დღეების ყოველთვიური აღრიცხვის ფორმებში. გარდა ამისა, N2 პენიტენციური დაწესებულებიდან გამოთხოვილ იქნა 2024 წლის ივნისიდან 5 დეკემბრამდე პერიოდში დაწესებულების სამეურნეო სამსახურში დასაქმებული პირების სამუშაო გრაფიკის ამსახველი დოკუმენტაცია და ინფორმაცია საქართველოს შრომის კოდექსით გათვალისწინებულ დასვენების და უქმე დღეებში ვინ და რა სამუშაო გრაფიკით ასრულებენ სამეურნეო სამუშაოებზე დასაქმებული ბრალდებულების/ მსჯავრდებულების მიერ შესასრულებელ სამუშაოს.[1] აღნიშნული კორესპონდენციის საპასუხოდ N2 პენიტენციურმა დაწესებულებამ 2024 წლის 12 დეკემბრის N371249/01 წერილით საქართველოს სახალხო დამცველის აპარატს აცნობა, რომ N2 პენიტენციურ დაწესებულებაში სასჯელის მოხდის პერიოდში [illegible] პერიოდულად დასაქმებული იყო დაწესებულების სამეურნეო სამუშაოებზე და პერიოდულად ასევე ასრულებდა [illegible]ს ფუნქცია-მოვალეობებს (დაწესებულებაში მოქმედი [illegible] უზრუნველყოფდა ბრალდებულებისთვის/მსჯავრდებულებისთვის [illegible] მიწოდებას/წამოღებას) და რომ განმცხადებელი საქართველოს შრომის კოდექსით განსაზღვრულ დასვენებისა და უქმე დღეებში არ ასრულებდა ზემოხსენებულ სამუშაოს. რაც შეეხებოდა, ინფორმაციას იმ პირების შესახებ, ვინც 2017 წლიდან 2024 წლის მაისის თვის ჩათვლით N2 პენიტენციურ დაწესებულებაში დასვენების და უქმე დღეებში ასრულებდნენ იმ სამუშაოებს, რასაც საქართველოს შრომის კოდექსით განსაზღვრულ სამუშაო დღეებში სამეურნეო სამსახურში დასაქმებული [illegible], გვეცნობა, რომ ვინაიდან მოთხოვნა შეეხებოდა პირთა განუსაზღვრელ წრეს და ვერ ხდებოდა კონკოეტული პირის/პირების იდენტიფიცირება, დაწესებულება მოკლებული იყო შესაძლებლობას მოეწოდებინა მოთხოვნილი ინფორმაცია. რაც შეეხებოდა მოთხოვნას 2024 წლის ივნისიდან 5 დეკემბრამდე პერიოდში N2 პენიტენციურ დაწესებულების სამეურნეო სამუშაოებზე დასაქმებული პირების სამუშაო გრაფიკის ამსახველ დოკუმენტაციასა და ინფორმაციას, თუ ვინ და რა სამუშაო გრაფიკით ასრულებენ სამეურნეო სამუშაოებზე დასაქმებული მსჯავრდებულების/ ბრალდებულების მიერ შესასრულებელ სამუშაოს საქართველოს შრომის კოდექსით გათვალისწინებულ დასვენების და უქმე დღეებში, გვეცნობა, რომ ვინაიდან მოთხოვნა შეეხებოდა პირთა განუსაზღვრელ წრეს, ზემოხსენებული ინფორმაციის გადმოცემისთვის აუცილებელი იყო კონკრეტული მსჯავდებულ(ებ)ის დემოგრაფიული მონაცემები, რათა მომხდარიყო მისი (მათი) იდენტიფიკაცია და შემდგომში შესაბამისი დოკუმენტაციის მოწოდება.

2024 წლის 13 დეკემბერს საქართველოს სახალხო დამცველის წარმომადგენელი იმყოფებოდა N2 პენიტენციურ დაწესებულებაში სადაც ესაუბრა დაწესებულების დირექტორს - [illegible] რომელმაც განმარტა, რომ დაწესებულებაში არ იწარმოებოდა არანაირი დოკუმენტ[illegible], რომელშიც აისახებოდა სამეურნეო სამუშაოებზე დასაქმებულ ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა სამუშაო დრო, დასვენების დღეები, ზეგანაკვეთურად შესრულებული სამუშაო ან სხვა მსგავსი ხასიათის ინფორმაცია. დაწესებულების დირექტორის განმარტებით, გამოიცემოდა მხოლოდ ბრძანება მსჯავრდებულის/ბრალდებულის სამეურნეო სამუშაოებზე ჩარიცხვის ან/და ამორიცხვის შესახებ.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე დგინდება, რომ სპეციალური პენიტენციური სამსახურის N2 დაწესებულებაში სამეურნეო სამუშაოებზე დასაქმებულ ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა სამუშაო დრო სათანადოდ არ აღირიცხება.

სამართლებრივი საფუძვლები:

შრომის უფლება ადამიანის ფუნდამენტურ უფლებას წარმოადგენს. შრომასთან დაკავშირებული უფლებები აღიარებული და დაცულია როგორც ქვეყნის კონსტიტუციით,[2] ისე საერთაშორისო ხელშეკრულებებით[3], ასევე საქართველოს ორგანული კანონით „საქართველოს შრომის კოდექსით“ და სხვა საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებით.

მოგეხსენებათ, მსჯავრდებულთა დასაქმებასთან დაკავშირებული საკითხები მოწესრიგებულია პენიტენციური კოდექსით, რომლის 127-ე მუხლის თანახმად, ბრალდებულის/მსჯავრდებულის შრომითი საქმიანობა ხორციელდება ამავე კოდექსითა და საქართველოს შრომის კანონმდებლობით დადგენილი წესით. აკრძალულია ბრალდებულის/მსჯავრდებულის იძულება, შეასრულოს ისეთი სამუშაო, რომელიც ლახავს ადამიანის პატივსა და ღირსებას. **ბრალდებული/მსჯავრდებული შესრულებული სამუშაოსთვის იღებს ხელფასს საქართველოს შრომის კანონმდებლობის შესაბამისად. ბრალდებულისთვის/ მსჯავრდებულისთვის შრომის ანაზღაურების მიცემის წესი განისაზღვრება საქართველოს კანონმდებლობით.** ბრალდებულს/მსჯავრდებულს ხელფასი ერიცხება პირად საბანკო ანგარიშზე. მას ხელფასის სრული განკარგვის უფლება მიეცემა გათავისუფლებისას. ბრალდებულს/მსჯავრდებულს უფლება აქვს, ეს თანხა თავისი შეხედულებისამებრ გადაუგზავნოს ახლო ნათესავებსა და სხვა პირებს. პენიტენციური კოდექსის 130-ე მუხლის თანახმად, პენიტენციურ დაწესებულებაში სამეურნეო სამუშაოების შესასრულებლად მსჯავრდებულის ჩარიცხვა ფორმდება ამ დაწესებულების დირექტორის ბრძანებით. სამეურნეო სამუშაოების შესრულებისთვის მსჯავრდებულს მიეცემა ანაზღაურება. სამეურნეო სამუშაოების შემსრულებელი მსჯავრდებული არ არის საჯარო მოსამსახურე და მასზე არ ვრცელდება „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის მოქმედება. პენიტენციურ დაწესებულებაში სამეურნეო

სამუშაოების შესასრულებლად მსჯავრდებულის ჩარიცხვისა და ამორიცხვის, მის მიერ ამ სამუშაოების შესრულების წესი, აგრეთვე მისთვის ანაზღაურების მიცემის წესი და ანაზღაურების ოდენობა განისაზღვრება მინისტრის ბრძანებით. პენიტენციური დაწესებულება ვალდებულია შექმნას მსჯავრდებულის სიცოცხლისა და ჯანმრთელობისთვის მაქსიმალურად უსაფრთხო სამუშაო გარემო.

„მსჯავრდებულის მიერ სამეურნეო სამუშაოების შესრულების და მისთვის ანაზღაურების მიცემის წესის დამტკიცების შესახებ" საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის 2014 წლის 22 დეკემბრის N157-ე ბრძანების მე-6 მუხლის თანახმად, **სამეურნეო სამუშაოებში დასაქმებული მსჯავრდებულების რეესტრს აწარმოებს სპეციალური პენიტენციური სამსახურის მსჯავრდებულთა რესოციალიზაცია-რეაბილიტაციის დეპარტამენტი, ხოლო ტაბელს – დაწესებულების სამართლებრივი რეჟიმის განყოფილება.** ამავდროულად, ამავე წესის მე-4 მუხლის თანახმად, სამეურნეო სამუშაოებში დასაქმებულ მსჯავრდებულთა დაწესებულების ტერიტორიაზე გადაადგილება ხორციელდება მხოლოდ სამეურნეო სამუშაოებში დასაქმებული მსჯავრდებულის სპეციალური განმასხვავებელი ნიშნის მეშვეობით (დანართი № 2), რომლის მოხსნა მსჯავრდებულს ეკრძალება სამუშაოს დასრულებამდე. მსჯავრდებული ვალდებულია სამუშაოს დასრულების შემდგომ სპეციალური განმასხვავებელი ნიშანი ჩააბაროს დაწესებულების სამართლებრივი რეჟიმის განყოფილებას. **სამეურნეო სამუშაოებში დასაქმებულ მსჯავრდებულთათვის სპეციალური განმასხვავებელი ნიშნების გაცემისა და ჩაბარების აღრიცხვას აწარმოებს დაწესებულების სამართლებრივი რეჟიმის განყოფილება. სამართლებრივი რეჟიმის განყოფილება ვალდებულია მოსთხოვოს სამეურნეო სამუშაოებში დასაქმებულ მსჯავრდებულს სამუშაოს დასრულების შემდგომ სპეციალური განმასხვავებელი ნიშნის ჩაბარება.**

ორგანული კანონის საქართველოს შრომის კოდექსის 24-ე მუხლის მე-11 ნაწილის თანახმად, დამსაქმებელი ვალდებულია სამუშაო დღეს წერილობით ან/და ელექტრონულად აღრიცხოს დასაქმებულთა მიერ ნამუშევარი დრო და სამუშაო დროის (ნამუშევარი საათების) აღრიცხვის **ყოველთვიური დოკუმენტი გააცნოს დასაქმებულს,** გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც, სამუშაოს ორგანიზების სპეციფიკიდან გამომდინარე, ეს შეუძლებელია. დამსაქმებელი ვალდებულია სამუშაო დროის (ნამუშევარი საათების) აღრიცხვის დოკუმენტი შეინახოს 1 წლის განმავლობაში. სამუშაო დროის აღრიცხვის ფორმას განსაზღვრავრულია საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2021 წლის 12 თებერვლის N01-15/ნ ბრძანებით. სამუშაო დროის აღრიცხვა მნიშვნელოვანია იმდენად, რამდენადაც ნამუშევარი დროის ხანგრძლივობა პირდაპირ დამოკიდებულია დასაქმებულის ანაზღაურების განსაზღვრის ოდენობასთან, ზეგანაკვეთურად შესრულებული სამუშაო გარკვევასა და დასაქმებულის მიერ შესვენების ან/და დასვენების დროით სათანადო სარგებლობის უფლებისთან.

განსახილველი საკითხის შესწავლისას, მართალია საქართველოს სახალხო დამცველის აპარატმა ვერ მოიპოვა მტკიცებულებები, რომ N2 პენიტენციური დაწესებულების სამეურნეო სამუშაოებზე მუშაობის პერიოდში ადგილი ჰქონდა [redacted] შრომითი უფლებების დარღვევას, თუმცა მოპოვებული ინფორმაცია მიუთითებს იმაზე, რომ N2 პენიტენციური დაწესებულება სამეურნეო სამუშაოებზე დასაქმებულ პირთა სამუშაო დროის აღრიცხვას სათანადოდ არ აწარმოებს. საქართველოს სახალხო დამცველი მიიჩნევს, რომ სპეციალური პენიტენციური სამსახურის ყველა დაწესებულება ვალდებულია კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით აწარმოოს სამეურნეო სამუშაოებზე დასაქმებულ ბრალდებულთა/ მსჯავრდებულთა სამუშაო დროის აღრიცხვა და ნამუშევარი საათების შესახებ ინფორმაცია ყოველთვიურად გააცნოს დასაქმებულებს. აღნიშნული ვალდებულების შესრულება მნიშვნელოვანია იმდენად რამდენადაც წარმოადგენს შრომითი კანონმდებლობის მოთხოვნას, ამავდროულად, სამუშაო დროის აღრიცხვა და დასაქმებულისთვის მათი გაცნობა ახდენს შრომითი უფლებების დარღვევის პრევენციას და ხელს უწყობს ღირსეული სამუშაო გარემოს შექმნას.

დასკვნა:

ყოველივე ზემოაღნიშნული ფაქტობრივი და სამართლებრივი გარემოებებიდან გამომდინარე, საქართველოს სახალხო დამცველს სურს ხაზგასმით აღნიშნოს, რომ პენიტენციური დაწესებულებებში სამეურნეო სამუშაოებზე დასაქმებული ბრალდებულების/მსჯავრდებულების სამუშაო დროის აღრიცხვის კანონმდებლობით დადგენილი წესები მკაცრად უნდა სრულდებოდეს, ვინაიდან სხვა დასაქმებულებისგან განსხვავებით ბრალდებულები/მსჯავრდებულები არასამუშაო დროსაც იმყოფებიან დამსაქმებლის მუდმივი ზედამხედველობის/კონტროლის ქვეშ და მიეკუთვნებიან მოწყვლად ჯგუფს. სამუშაო დროის სათანადოდ აღრიცხვა კი უზრუნველყოფს სამეურნეო სამუშაოებზე დასაქმებული ბრალდებულების/ მსჯავრდებულების შრომითი უფლებების დაცვას. შესაბამისად, „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 21-ე მუხლის „ბ" ქვეპუნქტის საფუძველზე, მოგმართავთ რეკომენდაციით:

უზრუნველყოთ ყველა პენიტენციური დაწესებულების ტერიტორიაზე სამეურნეო სამუშაოებზე დასაქმებულ ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა სამუშაო დროის აღრიცხვა საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2021 წლის 12 თებერვლის N01-15/ნ ბრძანებით დადგენილი წესით და ნამუშევარი საათების აღრიცხვის დოკუმენტი ყოველთვიურად გააცნოთ დასაქმებულებს.

მოცემულ საკითხთან დაკავშირებით გატარებული ღონისძიებების თაობაზე, გთხოვთ, გვაცნობოთ „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 24-ე მუხლით დადგენილ

ვადაში.

პატივისცემით,

---

[1] საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის 2024 წლის 5 დეკემბრის N2024/6908 წერილი.

[2] საქართველოს კონსტიტუციის 26-ე მუხლი.

[3] ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტი, ევროპის სოციალური ქარტია და სხვ.

საქართველოს სახალხო დამცველი

ხელმოწერილია/
შტამპადასმულია
ელექტრონულად

ლევან იოსელიანი